

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ იმპერიალიზმმა, რომელიც განსაკუთრებულ იმედებს არ ამყარებს მოკავშირეებზე, თავის თავზე აიღო ჟანდარმის ფუნქცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში... რაც უფრო შორს მიდის ამერიკის ავანტიურა, მით უფრო ნათელი ხდება მისი უიმედობა.

მოლიკულ გზაზე

ტიკების ეგზოტიკა

ბუნების ლამაზი სურათი ვაჭრობის განვითარებისათვის ზედმისწრებაა... რა ჯობია ლამაზი ბაღის წინ მოდუდუნე მდინარეს, ალვის ხის ჩეროებს, გრილ სარდაფს და ჩაცივებულ ღვინოს... ეს ანბანური ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, ზოგიერთმა ხაშურელმაც კარგად გაიგო და გაშალა ვაჭრობა... მოზღვავდა და მოზღვავდა ხაშურში იმერეთიდან ჩამოტანილი წყლიანი ღვინის მდინარე, სოკოებივით მომრავლდა არალეგალური სარდაფები, გაიშალა სმა კასრის თავებზე და გადაბრუნებულ ყუთებზე.

შემოქმედებითი საქმიანობის ფერხულში ჩაებნენ იმერეთის რაიონების უსაქმო „საქმოსნები", შაქრისა და ჭაჭის შეზავების უბადლო ოსტატები, ხდება მორიგება, შეთანხმება და ნადავლის გაყოფა.

და ყველაფერი ეს ხდება დღისით-მზისით, ყველას **თვალწინ** და მრავალთა პრაქტიკული მონაწილეობით, არავინ უშლის ხელს, არც მილიციას აწუხებს ეს ამბავი, არც ფინგანის მუშაკებს და მიდის ვაჭრობა, განა უბრალო, განა ჩვეულებრივი? გახურებული, გაცხოველებული, ვაჭრობა შინ გატანებით, ვაჭრობა წვრილ-წვრილად, ვაჭრობა ბითუმად, ვაჭრობა ჭიქებით, ლიტრებით, დეკალიტრებით, კასრებით.

ხაშურში არალეგალურ სარდაფებს შორის ყველაზე ლეგალური სარდაფი ალექსი ბარბაქაძეს აქვს, ეგერ ე. სურამულას ხიდთან, რუსთაველის ათში, სახანძრო რაზმის შენობის პირდაპირ რომ მდებარეობს.

სულ მხიარულებაა ალექსის სარდაფში, რა სიმღერას არ მოისმენთ იქიდან: ძველქართულს თუ მოდერნიზებულს, ვის არ დაინახავთ იქ შემსვლელ-გამომსვლელს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, დიდსა თუ პატარას, მეხანძრეს თუ ხელოსანს, ზეინკალს თუ პარიკმახერს, ყველას ემსახურება ალექსი, ჯარასავით ტრიალებს კაცი, ამიტომაც გაისმის წარამარა, სისხამ დილიდან გვიან ღამემდე:

— ალექსი, ორი ლიტრი.

— ალექსი, ნიორი.

— ალექსი, პური.

— ალექსი ძია, ექვსი ლიტრი ჩამოგვისხი.

და ტრიალებს ალექსი, ოფიციანტი კი არ არის, — მძიმე-მძიმედ მოემსახუროს, იცის საქმე, შესტკივა საქმისათვის გული და არ იშურებს ძალ-ღონეს, ვედროში ამოავლებს ჭიქებს, ასხამს ღვინოს, ჭრის და ჩამოარიგებს პურს, ნიორს, ღებულობს ნახარჯს.

პატარა სარკმელები ამშვენებენ ტიხარიან სარდაფს, არასოდეს არაა იქ სიცარიელე, ხანდახან კი ორივე ოთახი გაჭედილია, ერთნი უკვე დამთვრალან, მეორენი ეს-ესაა შესდგომიან დროისტარებას, მესამენი მღერიან, მეოთხენი შინ მიეზიდებიან ალექსისეულ ღვინოს, ალბათ, გამოუცდელობის გამო, არ იციან, რა კარგია ღვინოსთან პური და ნიორი, თორემ, შინ რაღას წაიღებდნენ, იქვე დალევდნენ, ამ ღვინის სმისათვის ზედმოჭრილ ვითარებაში — ტიკებისა და რუმბების, კასრებისა და დოქების, ნივრისა და ხმელაპურის ალექსისეულ ეგზოტიკაში.

როცა ცივა, იცის ალექსიმ, რომ სითბოა საჭირო, სითბოს ღვინო იძლევა, მაგრამ, ვიდრე მუშტრები შინაგან სითბოს მიიღებენ, საგანგებოდ დადგმული ღუმელების სითბოში ექცევიან ისინი, ასე ზრუნავს ხალხისათვის, ხალხის ეს „უანგარო" მსახური.

თუ კინმე კითხავს ალექსის: ძია ალექსი, ვისია ეს წერტიო, ალექსი ერთს გაიღიმებს, ციმციმა თვალებს შეაგებებს ცნობისმოყვარეს და, როგორც გულახდილი კაცი, გულწრფელი სიმართლით ინსტუმრებს:

— ვისი უნდა იყოს, არავისი, ვერა ხედავ, ჩუმადა ვვაჭრობ.

და ამ ჩუმად ვაჭრობის დროს ისმის საშინელი ღრიანცელი, მოუგუდავი „მრავალჟამიერი", „დედი, დედი", „თავო ჩემო" და „ვაიმე, დედა, ზღვა დამშრალა".

— ალექსი, ახლა ფული არა მაქვს, ხელფასზე გაგისწორდები.

— ეგრე იყოს!

— ნისიად გამატანე ხუთი ლიტრი.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს!

ალექსის სარდაფის კედლები აჭრელებულია მრავლისმთქმელი წარწერებით:

— ნიკას ხუთისა მართებს.

— ვანუას სამისა, 200 გრამი ნივრისა და ორი პურისა.

— თედოს ორი ლიტრისა და ორი თავი ხახვისა.

თუ ვინმე ძალიან დათვრა, ალექსი ძია დააწვენს კიდეც, გამოფხიზლებამდე შეინახავს, თუ ვინმეს ძალიან აუვარდა თავში, იქვე, სახანძრო რაზმს შეუძლია მიაკითხოს, შლანგით მიუშვებენ სურამულას წყალს და გამოაფხიზლებენ მაშინვე.

ალექსის სარდაფს არც სხირტლაძის სარდაფი ჩამოუვარდება, ლესელიძის ქუჩა № 25-ში რომ მდებარეობს. ამ ბოლო ხანებში დიდი ბოქლომი კი ადევს, მაგრამ იმერელი „ენთუზიასტი", რომელმაც იგი დაიქირავა, ჭაჭის ჩამოსატანადაა წასული დროებით, მერე ჩამოვა, შაქარს, ჭაჭასა და სურამულას წყალს ერთმანეთში აურევს განსაზღვრული დოზით და, ცხადია, გახურდება ვაჭრობა, ჰოდა, სხვა დიდი არაფერი უნდა, პური კი იშოვება და ხახვსა და ნიორს რა გამოლევს ხაშურში.

რას არ იტყვის კაცის ენა, რას არ მოიგონებს. ჭორები დადის, თითქოს გ. ტაბიძის ქ. № 4-ში მცხოვრები პარიკმახერი გიორგი შუბითიძე ჯერ საპარიკმახეროში პარსავს ხალხს და მერე საკუთარ სახლში. ბედნიერი კაცია შუბითიძე, გამჭრიახი ცოლი ჰყავს, არაფერი გამოეპარებაო, ყველა მუშტარი არ მოდის თვალში, ახედდახედავს მომსვლელებს და, თუ არ მოეწონა, „ტკბილი" სიტყვებით გაისტუმრებს, ცოტა ჰქონდა ჩემს ქმარს „მობარებული", ახლა გაუთავდა, სხვა წერტში მიბრძანდითო.

განა მარტო ეს „წერტებია" ხაშურში? როგორ გეკადრებათ, რამდენიც გნებავთ და სადაც გნებავთ.

მაგრამ ყველა წერტს უჩინმაჩინის ქუდი ახურავს, მუშტრებისათვის კი არა, მილიციისა და რაიფინგანის მუშაკებისათვის, იმათთვის, ვინც პირველ რიგში უნდა ხედავდნენ მათ და უნდა უზღავდნენ საზღაურს.

ბოროტი ენები ამბობენ, ხაშურის სასადილოებსა და რესტორნებს უჭირთ გეგმების შესრულებაო, მერე რა, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს". სამაგიეროდ საჩუმათო სარდაფები და წერტები ვაჭრობენ „სანიმუშოდ" — სარფიანად.

სამნი



ბუღალტერს ნიანგს

ძვირფასო ნიანგო!

ზუგდიდის რაიონში შემავალი სოფლების ჭალადიდის, ხორგის გზა, ტრანსპორტის ხშირი მოძრაობისა და უპატრონობის გამო, ისე გაფუჭდა, რომ, მანქანების სამოძრაოდ კი არა, საცალფეხო გზადაც უვარგისი გახდა. ყოველ ნაბიჯზე წყლის დიდი გუბეებია დამდგარი და ისინი იხვების საცურაოდაა ქცეული. ხშირად მანქანები ტალახში ეფლობიან. როგორც ამბობენ, ამ გზას ფოთის მეცამეტე საგზაო განყოფილება ხელმძღვანელობსო. ჩვენო ნიანგო, იქნება შენ შეახსენო ხსენებული საგზაო განყოფილების მესვეურებს, რომ 1964 წელს მაინც შეიწუხონ თავი და დაიწყონ გზის მოხრეშვა.

პატივცემულო ნიანგო!

წლების განმავლობაში ვიბოლებით ჩვენ ქ. თბილისში, ბამბის რიგი № 6 მცხოვრებლები იმის გამო, რომ საკვამლე მილები დაზიანებულია და მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. საბინაო სამმართველო და სახლმმართველობა ტყუილი შეპირებების მეტს არაფერს აკეთებენ. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ შეუკეთებელ სახურავზე, არც დამპალ იატაკზე, დანგრეულ კედლებსა და ჭერზე, მხოლოდ გთხოვთ, გაგვაგებინოთ, ეშველება თუ არა რაიმე ჩვენს საკვამურებს?

საყვარელო ნიანგო!

დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში სტუმრად რომ მოხვიდე და სასმელი წყალი მოითხოვო, მწარე ეპიტაფურით გაგიმასპინძლდებიან. სოფელს პატარა რუ ჩამოუდის და, თუ იქ ღამე არ აიღე წყალი, დილით საქონელი და ბატები ისე აამღვრევენ, რომ მისი დასალევად ხმარება უკვე შეუძლებელი ხდება. დაგვიანებული და უწყლოდ დარჩენილი ქალები იმედს მერძევე მიხაზე ამყარებენ და ერთმანეთს აიმედებენ: „მიხა რძეს ჩააბარებს აბანოს ხევზე და რძის ბიდონებით წყალს ამოიტანსო“. მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ 3 ბიდონი წყალი მთელ სოფელზე. ამრიგად, ჩვენო ნიანგო, იმის თქმაც კი გვრცხვენია, რომ ბულაჩაურის მცხოვრებლები უწყლოდ ვიხრჩობით, როცა ჩვენი წყლით თბილისი და რუსთავი მარაგდება, ჩვენ კი სოფლის ხელმძღვანელობა მხოლოდ დაპირებებით გვაკმაყოფილებს.

ძმაო ნიანგო!

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ჯავახიშვილის ქ. № 27-ში მცხოვრებლებს გვქონდა ელექტროგანათება, მაგრამ, სუსტი ენერგიის გამო, ყოველთვის უკმაყოფილონი ვიყავით. ჩვენი წუწუნი ყურად იღო „თელასმა“, დაიწყო ელექტროხაზის შეკეთება და შეგვპირდა, რომ ცენტრალურ ხაზზე გადაგიყვანთო. ასეც მოხდა, გადაგვიყვანეს ცენტრალურ ხაზზე და ჩვენც, სინათლის მაგიერ, სიბნელის ცენტრში აღმოვჩნდით. თუ ამდენ ხანს ელექტროენერგიის სისუსტეს ვჩიოდით, ახლა მთლად მოგვესპო ეს ენერგია. ჩვენს ქუჩაზე № 29 და № 40 კერძო ბინებში ყოველთვის არის სინათლე. არ დაგვწყდებოდა გული და არც თქვენ შეგაწუხებდით, რომ ლამპის შუშა იშოვებოდეს, მაგრამ ეს თითქოს წვრილმანი ამბავი თქვენამდე იმიტომ მოგვაქვს, რომ მაღაზიებში შუშას ლამპის გარეშე არ ყიდიან და, „თელასის“ წყალობით ბნელში დარჩენილებს, შუშაც ხშირად გვჭირდება და ლამპების კოლექციას ვაგროვებთ.

პატივცემულო ნიანგო!

ჩვენ ჩვეულებრივი ბილეთები ვართ, უბრალო მოლურჯო ქაღალდზე დაბეჭდილი 20—კაპიკიანი კინოს ბილეთები. ჩვენი და ჩვენი თანამოძმეების ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც მოგეხსენებათ, მეტად ხანმოკლეა. სალაროში დაგვაწერენ რიგსა და სკამის ნომერს. მიყიდიან ჩვენს თავს მაყურებელს, კინოში შესვლისას სხეულის ერთ მესამედს ჩამოგვახევენ და სეანსის დამთავრებამდე აღარავის ვახსოვართ, მაყურებელი გვინახავს. ზოგ ნერვიულ მაყურებელს სეანსის დამთავრებამდე ხელში შემოვეფცქვნებით.

მაგრამ, ბედმა თუ განგებამ, ჩვენი თავი სიღნაღის რაიონის სოფელ გამარჯვების კულტურის სახლს მიაკუთვნა. გულით გვინდა, რომ ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ, მაგრამ ვინ არის ჩვენი პატრონი. დეიდისა და დისშვილის ხელში ვართ ჩავარდნილი. დეიდა გაგვყიდის სალაროში, დისშვილი კარებში გვხვდება და არ გვაცლის მაყურებელთან ერთად დარბაზში შესვლას, ხელში დაგვაგროვებს და ხელმეორედ დეიდასთან მოგვარბენინებს, დეიდაც ისევ გვყიდის და ასე ვტრიალებთ სალაროსა და შესასვლელს შუა, სანამ მოვძველდებოდეთ. სირცხვილით ვიწვებით, მაგრამ რას ვიზამთ, ენა არ გვიდგას პირში და პატრონი არ გვყავს. სიღნაღის კულტურის განყოფილების გამგე სიმონიშვილი ერთხელაც არ მოვა და არ გაიზიარებს ჩვენს გულისტკივილს. ჩვენ ზედმეტი არც ცხოვრება გვინდა და არც სირცხვილი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იქნება ვინმე სხვამ მოკრას ყური ჩვენს ჩივილს და დახმარების ხელი გამოგვიწოდოს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაგმო ზოგიერთი მუშაკის ცდა, რომ დანერგოს აგროტექნიკაში შაბლონი, ბრძანებებით მართოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მან გააკრიტიკა საწარმოო სამმართველოებისა და პარტიული კომიტეტების ის მუშაკები, რომლებიც ორგანიზატორულ მუშაობას ადმინისტრაციული ფაციფუცით ცვლიან.

ნახ. ნ. მალაზონიასი

— ვბრძანებ, შეაჩერეთ წვიმა, ქარი და სასწრაფოდ შეუდექით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას!

ფხაკაძისეული ფხაკუნა სიყვარული

ქუთაისელი გიორგი ვლასის-ძე ფხაკაძე იმ ბიჭებს კი არა ჰგავს, ხათრიანი და გამგები ვართო რომ იძახიან.

უყვარს გიორგის გოგონებისათვის თვალების ბრუწვა, მანჭვა-გრეხვა, გაცვეთილი ქათინაურებით თავის მოქონვა, ხან ერთს აეტორღიალება, ხან მეორეს, ხან ვის და ხან ვის. რომელიმეს დაიმარტოხელებს, დაემუქრება, თუ არ გამომყევი, შენც მოგკლავ, შენს ძმებსაც, შენს ახლობლებსაც მუსრს გავავლებ და, ბოლოს, მეც მოვიკლავ ამ გასაცოდავებულ თავსო. თუ საქმე სკანდალამდე მივიდა, დაფრთხება გიორგი ვლასის-ძე, მოიკატუნებს თავს, რას ამბობთ, ვინმე ბიჭბუჭა კი არა ვარ, ცოლად ვირთავ, ბატონო, მასზე ამომდის მზე და მთვარე და, თუ არ შემრთეთ, ჩემი ცოდვა თქვენს კისერზე იყოსო.

ეეიცოდებენ ფხაკაძეს, შერთავენ ცოლად თავის რჩეულს, ერთი ორი კვირა ატარებს ფხაკაძე ნეფის გვირგვინს, მერე გადგება განზე ოჩანი სახედარივით და გაუბედურებული ქალის ტირილზე ყურებსაც არ გააპარტყუნებს. დაც გვერდში ამოუდგება, სიძეც, დედამამაც, გიორგის უკეთესი ქალი შეჰფერის, ეს ვინ გვივარდება სახლში, სად გაიზარდა, ეს რა უბედურებაოო.

ასე მოექცა გიორგი ფხაკაძე ერთსაც, მეორესაც, — და ფ. ფ.-საც. და არის წინამძღვრები, რომ ვისაც კიდევ ჩაიგდებს ხელში, მასაც ასევე მოექცევა, რამეთუ ასეთია გიორგი ფხაკაძისეული ფხაკუნა სიყვარული.

საკითხავია, რატომ არ მიუზღავენ გიორგი ფხაკაძეს თავისი ამორალური ფხაკაფხუკისათვის შესაფერ საზღაურს?

...ბილ ხაში...

— ღვთის გლახა ხარ, შე უბედურო! ღვთის გლახა! შენ, ალბათ, ბუღალტრად დაიბადე და ისე მოკვდები, რომ შენი თანამდებობის სახელს ერთი სიტყვა „უფროსისაც“ არ მიემატება. — ორი თვის განმავლობაში ასეთი ტბილი სიტყვებით მისტუმრებდა სამსახურში ჩემი მეორე ნახევარი.

ყველაფერი ახალი დირექტორის დანიშვნით დაიწყო. დომენტი ბარნაბიჩი ისეთი რიხით შეუდგა მოვალეობის შესრულებას, რომ ყველას გეგონა, როგორც ზოგიერთს ჩვენეი, არც ერთ ძველ თანამშრომელს არ დაგტოვებდა ადგილზე. ჩვენს შაშს სხვა არგუმენტებიც აძლიერებდა — ორი თვე გადიოდა და ვერც ერთმა თანამშრომელმა ვერ შესძლო, რომ იტყვიან, ერთხელ მაინც გაეტეხა პური უფროსთან. ჩემი მეორე ნახევარიც ამიტომ მაკიდებდა ცეცხლს. მით უმეტეს, იდრე ისეთი მორცხვი უფროსი გეყავდა, კვირაში სამჯერ ქეიფობდა ჩვენს ოჯახში. ცოტა რომ დამგვიანებოდა დაპატიჟება, თვითონ მეტყოდა: — გრამტონ, პურ-მარილი დაგვიძველდაო. მეც, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ ვასწორებდი ჩემს დანაშაულს.

მერე და რა თავმდაბალი ვაყაკეი იყო! ისე შეუდგებოდა ჭამა-სმას, რომ იმერელი ნიასაბლოსი (ჩემი მეუღლე აგერაა, ბატონო, ზესტაფონიდან) ერთხელაც ვერ ასწრებდა დაზპირებული სიტყვების თქმას: მირონვი, ბატონო, მირონვი, ბატონო. სიმღერა არ ეხერხებოდა, სამაგიეროდ, როცა შეთვრებოდა, სკამიდან ვეღარ ჩამოიყვანდი. ალბათ, ითვალისწინებდა ჩემი ოთახის ფართობს და სკამზე ცეკვავდა.

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დაგვერჯია ჩვენი ახალი უფროსის ტტიკეც ნეიტრალიტეტი. და ბოლოს, ისევ ხაშმა გვიშველა. ამბობენ, ხაშს სამკურნალო თვისებები აქვსო. ჩვენ იმაშიც დავრწმუნდით, რომ მას სხვა სასწაულებრივი ძალაც ჰქონია. ხაშის წყალობით შევძელით ჩვენი უფროსის გატეხა და მოთვინიერება. ამის შემდეგ ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ ეძახიან ზოგიერთ კინომექანიკოსსა და ფეხბურთის უხეირო მსაჯს მეხაშეს.

პირველად მე მხვდა წილად ბედნიერება გამომეცადა ხაშის ძალა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მორცხად შევაღე უფროსის კაბინეტის კარი, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს სახე მიეღე და მლოცველის ხმით შევლაღადე:

— ძვირფასო ბარნაბიჩ, დამდეთ პატიჟი და სულ ორი წუთით გვესტუმრეთ დილით ოჯახურ ხაშზე.

საავდროდ გამზადებულ, უფროსს ღიმილმა ელვასავით გადაურბინა და მეც გადავრჩი მეხისდაცემას.

— კაცო, საიდან გიიგე, რომ ხაში მიყვარს! — ტკბილად მითხრა დომენტი ბარნაბიჩმა და ვაყაკაკეი სიტყვა მომეცა, რომ დილით მესტუმრებოდა.

სასიხარულო ამბავი სასწრაფოდ მოეფინა მთელს დაწესებულებას და თანამშრომლები დაპატიჟების გარეშე მაფრთხილებლდნენ, ხვალ ხაშზე შენი სტუმარი ვართო.

ჩემმა მეორე ნახევარმა მთელი ღამე პურ-მარილის მზადებაში გაათენა, თან ხშირად მეკითხებოდა: რომ არ მოვიდეს შენი უფროსი, ხომ დაგვრჩა ხაში მოხარმეული. დილით მეკვლესავით პირველად სამეურნეო ნაწილის გამგემ შემოაღო ოჯახის კარი, შემდეგ სხვებიც მოჰყვნენ და იმედი რომ გადაგვწყდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა უფროსიც.

შემოვუსხედით მაგიდას და ყველანი უფროსს ვბაძავდით, მსახიობივით გადაგვქონდა მისი მოქმედება. მე ცოტა შევაყოვნე და შემდეგ ღვინის ჭიქები, რომლებსაც დიდი ხახია მბრელად ნათლისეული სახელი შერჩათ, ჭაქის არაყით ავავსე და უფროსს მივაწოდე.

— აჰ, მაგას ვინ დალევს, კაცო?! თავი კი არ მაქვს მოსაკლავი! — შეიცხადა დომენტიმ.

— ბატონო, ხაში უარყოფ ეს ისეთივეა, როგორც ტიკი ეუდვინოდ. — მოვიყვანე შესანიშნავი შედარება და ჩემი ხათქვამის განსამტკიცებლად ფოლკლორი დავამახინჯე: — „დილით ხაში, ზედ არაყი...“

საღდგარძელოების ძებნას არ შევდგომივარ და, ღმერთის დაუკითხავად, პირდაპირ სახარებებს გავყევი. მეცხრე სახარებას რომ მივაღწიე, კარებში კბილებდაკრეჭილი შემწვარი გოჯი გამოჩნდა და სტუმრებმაც სიხარული იმით გამოხატეს, რომ კბილების კრეჭით შეხვდნენ მის შემოტანას. ჩემი მეორე ნახევრის მოხერხების წყალობით სტუმრებს ისე ოსტატურად შევაპარეთ ახალი პურ-მარილი, რომ ხაში მალე დაავიწყდათ და ისიც ვერავინ შეამჩნია, თუ სიმთვრალის რიმელ ეტაპზე გადავედით ირეიდან ღვინის სმაზე.

საუზმე საღილში გადაიზარდა, საღილი — ვახშამში, ჩაის ჭიქები კი — ლიტრიან ყანწებში. შეაღამე გადასული იყო, როდესაც დილის ხაშზე დაპატიჟებულმა სტუმრებმა, როგორც იქნა, იფიქრეს სახლში წასვლა.

ახლა ჩვენს დაწესებულებაში ყველამ იცის, რომ ჩვენს უფროსსაც კუჭი აქვს და ძალიან უყვარს დილით ხაში...

ამ აღმოჩენის საფუძველზე თანამშრომლებმა უკვე შევადენეთ გრაფიკი და უფროსის პატივსაცემად ხან ერთ ოჯახში მიდვიართ ხაშზე და ხან მეორეში. კაცმა რომ თქვას, ჩვენ კი არა ,ზოგიერთ სხვა დაწესებულებაშიც წარმატებით იყენებენ ხაშს, როგორც უფროსის დაპატიჟების უებარ საშუალებას. ძალზე ორიგინალური დაპატიჟებაა. თე ვინიცობაა, ცოლი შეგვდავა სად მიდიხარო, პასუხი მზად გექნება: — რა იყო, ქალო, ხაშზეც ალარ გინდა გამიშვა?!

კარგი ყოფილა დილით ხაში...

ნ. ნუკრიძე



ანტონ ივანოვიჩ ლაზარეფო, მეავე ხასიათის მიზეზი იყო ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული ნარკვევი. ეს ნარკვევი მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნიკოლაი რაზემნოვის ქუა-დიდებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ანტონ ივანოვიჩს არ მოსწონდა ფოტო. რაზემნოვი გაზეთის გვერდიდან დამცინავად იმზირებოდა, თითქოს მას, ანტონ ივანოვიჩს, ნიშნის მოგებით ეუბნებოდა:

— კარგად დამაკვირდი, ძამია ანტოშა, კარგად. ხომ ხედავ, რომ შენი ტოლ-მეგობარი არა ვარ.

ეს პირდაპირ ნერვებზე შლიდა ანტონ ივანოვიჩს. სიწყენია, ძალიან სწყენია. სხვებზე წერენ ადერთოვანებელ სტატიებს, რადიო ვერ ჩაეჭიოთას იმის შიშით, რომ ვინმე კოლეუურნეობის თავმჯდომარის ქუბა არ მოისმინონ. შენ კი მხოლოდ ოცნებებით უნდა დამაყოფილდე. არა და რა კარგია— ხიბარ კაბინეტში, კარების უკან კი ფეხ-ფეხებებენ მწერლები, კორესპონდენტები, ფოტოინპორტიორები, ფელეგაციები, კომისიები, ექსკურსანტები...

ბოლოს, ანტონ ივანოვიჩი გამოპრანდება. ტაშის გრიალში და „ვაშას“ შეძახილებში აწევენ ხელს, მოითხოვენ, რომ ყველა დაწუანარდეს და იტაციეს:

— მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო, მაგრამ არც ვიცი, რითი დავიმსახურე ყველაფერი ეს. არაფერი ასეთი მე არ გამიკეთებია. გადაკარებით ვასტუელებთ ვეგმას, ესაა და ეს.

სალამოს ანტონ ივანოვიჩი თავის კაბინეტში ინტერვიუს აძლევს კორესპონდენტებს. ეი შემოდის ეროთი:

— შეიძლება?

— მობრძანდით, მობრძანდით,—ქეიფშოლეკრად ამბობს ანტონ ივანოვიჩი,— რითი შემიძლია გეგმსახურთო?

— საქმე ისაა, ანტონ ოვანოვიჩ, რომ დღეს რადიოთი გადმოსცეს...

— კიდევ გადმოსცეს?— დაინტხვეს ანტონ ივანოვიჩი.— ეს ჭკნა, პირდაპირ არ ვიკი. სულ ჩეს შესახებ როგორ შეიძლება.

— რადიოთი გადმოსცეს, ანტონ ივანოვიჩ,— განაგრძობს მეტერი, ნაწნობი ხმა,— რომ ხვალ მოსალოდნელია ძლიერი წვიმა და გრიგალი. დაფაყოვნებლივ ეფნდა გადაეზიდოთ ფერმაში საკვები.

ანტონ ივანოვიჩი გამოფხიზლდა, თვალები გაახილა და დაინახა, კორესპონდენტი კი არა, ფერმის გამგე.

„ვეიოთნ ნაეტიბარ გრიგალსაც და ქარიშხალსაც,— გაბრაზდა ანტონ ივანოვიჩი,— ყველაზე საინტერესო ადგილს არ მოეთხოა“. — მაგრამ ხმამაღლა კი სულ სხვა თქვა:

— ვიცი, ვიცი, სწორედ ამაზე ვფიქრობ ახლა.

მხოლოდ ანტონ ივანოვიჩი ისევ დიდებაზე და სახელის მოხვეჭაზე ფიქრობს. კვლავ გაშალა გაზეთი, შერთთა და ბოლმით შეხედა რაზემნოვის მიმდიარე სახეს.

ამის ოჯეტი ამოვარდა! როგა საბრაოა, ვინმე აგანთ, შენს იქით არაფერ მიდის. ო

ქებაზე მიდგება საქმე — ალეთია რაზემნოვი და მისი არტელი „ვახთიანი“. ისე, თუ გავერკვევით, „ვანთიანიც“ არ არის სულ მთლად უზადო. ამა ენაზოთ ცნობა!

ანტონ ივანოვიჩმა მონახა გაზეთში სახელწოდებისათვის ხორცისა და რძ-ს მაკიდეს მონაცემები.

— ეი, კოლმეურნეობა „წინსული“ ისევ ჩამორჩენილია. „ყაინრათი“? ეო, რძის წარმოება გაუზრდიათ. მაგრამ ხორცი?

— ხორცი... მოიცა, მოიცა...— ანტონ ივანოვიჩმა კეფა მოიფხანა. —მე რომ... ნამდვილად... რა თქმა უნდა... ყველას ყოფას ვეტრიბე... ხა, ხა!

ანტონ ივანოვიჩი ხასიათზე მოვიდა, კინალამ სიმღერა წამოიწყო. მან სასწრაფოდ გამოიძახა ფერმის გამგე ნაზაროვი.

— დაჯექი, ძამია,—წარმოთქვა ანტონ ივანოვიჩმა. — როგორაა ისა... საქმეები?

— საქმეები ჭაღარაკელად მიდის,—თქვა ნაზაროვმა.

— ნუ ჩამოგიშვია მაგ ცხვერი,—გადაიხარხარა თავმჯდომარემ. — ჩვენს შესახებ გაზეთები აბსურდებიან.

— დიდი ხანია ხმაურობენ, ოლონდ, ჩვენ რომ გვინდა, ისე არა.

— ახლა ყველაფერი გამოიცვლება. მე და შენ გმირები გავხდებით.

— ეხ, როგორ.

— აი როგორ. რაც პირუტყვი გყავს, გამეწყრიე და პირდაპირი სელით ხორცკომბინატისაკენ!

— ძალდა და ტყავად თუ ჩავაბრუთო, თორემ ხორცის ნასახი არა აქვს არც ერთს.

— ნუ გეშინია, ყველაფერი გთოალსწინებელია. ამ ჯოგს წინ ჩავეყენებ საგზე ბელს. ასე ვთქვათ, შთამბეჭდილების შესაქმნელად. მთავარია საკონეი ეზოში როგორმე შეეცადოთ, მერე მორჩა; უკან ალარ მიეიდეთ.

— ანტონ ივანოვიჩ, — მეუქართი წარმოთქვა ნაზაროვმა, — ამისთანა ბელის დაკარგვისათვის თავზე ხელს არავინ გადაგვიფაფაებს.

— ეიკეი ვიკი, რომ აბ მოგეგეფერებიან. ესეც გთოალსწინებელია. ბელი არ უნდა ჩაბარეთო. ატანთ ყვარაული, თითქოს შეეგშალათ, ბელი შემთხვევით გამოეყვა ჯოგს, და ეკან წამოიყვანეთ. ამშ ასე. იმოქმედედეთ.

ამ ოპერაციას ანტონ ივანოვიჩმა პირობითი სახელწოდება „ბუღის ხრეკი“ უწოდა. როდესაც ეს სახელწოდება მოიგონა, დიდხანს იცინა ეულანად.

... რამდენიმე ხნის შემდეგ ხორცკომბინატიდან დაბრუნდა დელეგაცია.

— ა, რა არის ახალი? — წამოიძახა ანტონ ივანოვიჩმა. — ჩაბარეთ?

— ჩავაბარეთ.

— რამდენი?

— 480 კილოგრამი.

— რა? მთელი ჯოგი 480 კილოზე მეტს არ იწონიდა?

— არა, მთელი ჯოგი არა. მხოლოდ ბუღა მიიღეს. ჯოგი აგერ მობარბაიეს აქლოფინებელი.

ანტონ ივანოვიჩს ხელი ოუკანკალდა, ეცადა დადგმაპირქვავებული სმელენე მუხლებზე დაეცა და მის ახალ შარვალზე ეზარაზარი ლაქა გაარინა.

ვ. ფანოლოვი

ნახ. ო. ჯიშკარიანისა

— ამხელა სტენდის მოწყობა რა დაგიჯდათ?
— სამასი მანეთი!

ᲔᲫᲘᲜᲐᲗ ᲯᲐᲒᲘᲠᲘᲡᲐᲓ

ვალერიან მელიციკაური და გიორგი ტიტვინიძე „საქელექტრომონტაჟის“ მეშვიდე სამშენებლო სამმართველომ დაამეგობრა, ორივენი აქ მუშაობდნენ — ვალერიანი მონტიორად, — გიორგი — მძღოლად. მათი მეგობრობის დევიზი იყო: ხელი ხელს ბანს, ორივე — პირსო.

ისე როგორ დაჯდებოდნენ პურის საჭმელად ვალერიანი და გიორგი, რომ აქტუალურ საკითხებზე გასაუბრება არ მოეწყოთ:

— რას უხდება, თუ იცი, მინერალური სასუქი? — კითხა ერთხელ ვალერიანმა გიორგის. გიორგი ღრმად ჩაფიქრდა და უპასუხა:

— ყველაფერს, სიმინდს, ბოსტნეულს, ხეხილს!

— მართალი ხარ. აბა ახლა მითხარი საიდან უნდა მივიღოთ მინერალური სასუქი. — გიორგი კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრდა და ორჭოფულად უპასუხა.

— ქარხნებიდან.

— აქ კი შეცდი, მინერალური სასუქის მოპოვება შეიძლება ღია ცის ქვეშაც, აი, დამიგდე ყური: სამგორში არსებობს საჯიშე მეცხოველეობის მეურნეობა, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში, ჰყავს მეურნეობას დირექტორი ვახტანგ კორძაძე, დირექტორს ჰყავს უხემი საკვებისა და სასუქების საწყობის გამგე ჩობან თეიმურ გულუ-ოღლი მუსაევი. ჰოდა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩობან თეიმურ გულუ-ოღლი მუსაევმა თებერვლიდან მოყოლებული მარტამდე, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნიდან ზიდა და ზიდა მინერალური სასუქი და ყარა და ყარა მეურნეობიდან სამი კილომეტრის დაშორებით. ახლა ეს სასუქი ღია ცის ქვეშაა და არც არავინ იცავს. მერე და რა სასუქია, ამონიუმის სილიტრა, დაყარე ბაღ-ბოსტანში და მოსავალს სამმაგად მიიღებ, მე კი დუშეთის რაიონის სოფელ გრიგოლაანთ კარში დიდი ხეხილის ბაღი და ბოსტანი მაქვს, რამდენს აიტანს შენი მანქანა?

— ორტონანახევარს, სულ ბაღდადურის ცეკვით მიგიტანს შენს სოფელში.

— აფერუმ, გიორგი, შრომაც გიყვარს და ჭამაც, გულგრილი დამოკიდებულება მუცელთან დანაშაულია. ასე არ არის?

— ასეა მაშ!

— ერთი დაბრკოლებაა მხოლოდ, რა მოვუხერხოთ ჩვენი სამმართველოს უფროსს ალექსანდრე გოთუას?

— ეგ მე ვიცოდე, მთელი კვირაც რომ დავიკარგო, ჩემს ამბავს არ იკითხავს, საქმე სხვაც ბევრი აქვს.

ამა წლის ოთხ მარტს ღრმა ძილს მისცემოდნენ ვახტანგ კორძაძე და ჩობან თეიმურ გულუ-ოღლი მუსაევი, იყო ღამე, იყო უგუშაგოდ მიტოვებული ასობით ტონა მინერალური სასუქი, მხოლოდ მთვარე კაშკაშებდა, გარდაბან-რუსთავის ტრასაზე მოჰქროდა მანქანა გაზ—63 გრე 25—14 ქაღალდის ტომრებში ჩაყრილი ორი ათას ხუთასი კილოგრამი მინერალური სასუქით დატვირთული.

ღიღინებდა გიორგი, ღიღინებდა ვალერიანი და ბანს სატვირთო მანქანის ძრავა აძლევდა და მაინც ამ ჰარმონიაში შეიჭრა დისონანსი:

— თქვენი საბუთები?

მთვარის შუქზე აელვარდნენ ლიეთონის ფოლაქები.

ვახტანგ კორძაძესა და ჩობან თეიმურ გულუ-ოღლი მუსაევს ისევ უდრტვინველად ეძინათ, ეძინა ალექსანდრე გოთუასაც.

Ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡᲘ

— ვინა ვარ მე?—ჰკითხა ვარლამმა ოთახში შემოსულ თანამშრომელს.

— ვინა და... ბიძია ვარლამი!.—

— აიტ!—შეიცხადა ვარლამმა,— როდის აქეთ დამინათესავდი, შე პირდაუბანელო! მე თქვენ გიჩვენებთ...

თანამშრომელმა გოგონამ დაიპირა კარებში გაძრომა.

— გაიყინე ადგილზე! გაქვავდიმეთქი! — დაიგრგვინა ვარლამმა.

— რომელ საათზე ვიწყებთ მუშაობას, ერთი ეს გვიბრძანეთ, ქალიშვილო?!

— ჩვენ, ბიძია ვარლამ?..

— აიტ! —სამელნე და პრესპაპიე ერთ მტკაველზე ახტა მაგიდიდან.

— ჩვენ, ვარლამ იორამოვიჩ... რომელზე და... ცხრაზე ვიწყებთ.

— პრავილნა! — მერე შენ რომელ საათზე მობრძანდი დღეს სამუშაოზე?

— ?!?

— რას იგრიხები, გოგო?! შენ არ იყავი, თერთმეტის ნახევარზე რომ შემხვდი ქუჩაში?

— თქვენც ხომ იმ დროს მობრძან...

— აიტ! — იყო ამომწურავი პასუხი.

შემდეგ დაკითხვამ ასეთი ხასიათი მიიღო:

— ინგა როყვა სადღა დაეხეტება ამდენ ხანს?

— ???

— ვეფხია ქათამაძე?

— ???

ვარლამმა თითი კარებისაკენ გაიშვირა. მკაცრად დასძინა:

— გადი გარეთ. არსად გაიპარო! თათბირი დამთავრებულია.

როდესაც გოგონა გარეთ გავიდა ვარლამი მარტო დარჩა, მწარე, უსიამო ფიქრებს მიეცა. ზოგიერთები სამსახურში კვირაობით არ დადიან. თუ მოდიან, ორი-სამი საათით. შემოიხედავენ დაწესებულებაში, მიჭორ-მოჭორავენ ნაცნობებს, თითო ხელ ჭადრაკს ითამაშებენ და.. ჰერი ბიჭო! ჯანდაბას მაგათი თავი, უძახონ დირექტორის ბიძია ვარლამი. რა ვუყოთ მერე, ვარლამის პაპიროსს მთელი მესამე სართულის მამაკაცები და ქალები რომ ეწევიან და მის თანდასწრებით სამუშაო საათებში ანეგდოტებს ჰყვებიან. ქაღალდის ჩიტებს აფრენენ ფანჯრებიდან. ეს არაფერია, წვრილმანებია. მთავარია დისციპლინა.

ვარლამმა სასწრაფოდ გამოაცხო ბრძანება:

1) არც ერთი თანამშრომლის არც ერთი დაგვიანება;

2) სამუშაოს დამთავრებამდე ადგილზე ყოფნა;

3) ჭადრაკის თამაში მხოლოდ შუადღის 2 საათამდე;

4) სამუშაო საათებში არავითარი სიმღერა, ლანძღვა-გინება, ჩხუბი, ხმამაღალი სტვენა და ძილი.

ოფლში გაწურულმა ვარლამმა მემანქანე გამოიძახა და თავისი „შემოქმედება“ ოთხ ცალად დაიბეჭდინა, შემდეგ დერეფნის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე გააკრა და სახლში გაიპარა. მეორე დილით, ზუსტად ათ საათზე, ვარლამი დაადგა ფიროსმანის ქუჩას. ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა.

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს მკაცრი დირექტორი. — კბილების კრაჭუნით დუდუნებდა თავისთვის და მალიმალ საათზე იხედებოდა. ამ მომაკვდინებელი ღიმილით გადავიდა ქვაფენილზე და ტრამვაის ლიანდაგს გადააბიჯა თუ არა, — ვაი! ვაი! ოი! ოხ! ვაი!—ერთბაშად, სულმოუთქმელად ამოშაქრა ვარლამმა და ადგილზე გაქვავდა.

— საწყალი, — თქვა ვიღაც გამვლელმა, — რადიკულიტის შეტევა დაემართა.

— რა?— იკითხა მეორემ?

— რადიკულიტ, რადიკულიტ!— განუმარტა პირველმა და იქვე დასძინა: — ვინმე რომ არ მიეშველოს, იდგება ასე, საცოდავი, მთელი კვირა, წელკავი სანამ არ გაუვლის.

ექვსმა კაცმა, ავტოინსპექტორის დახმარებით, ასწია ვარლამი და რის ვაი-ვაგლახით გაიყვანეს მთავარი ქუჩიდან. იდგა ვარლამი და ელოდა ნაცნობების გამოჩენას. თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, მისმა თანამშრომელმა ქალმა, მის ცხვირწინ რომ გაატარა ბავშვი. ზუსტად თერთმეტ საათზე ინგა როყვამ ამოყვინთა მოსახვევიდან. თორმეტის ათ წუთზე ვეფხია ქათამაძემ ჩაუქროლა ვარლამს ისე, რომ არც მიუხედავს იმისაკენ. დღის ორ საათზე იგივე სურათი განმეორდა, მხოლოდ პირიქით მიმართულებით.

— მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, გასწავლით დისციპლინას! — ჩახლეჩილი ხმით ბურტყუნებდა ვარლამი. —გგონიათ ყოველდღე მექნება რედიკულიტის შეტევა?!

იდგა ვარლამი და მშველელს ელოდა. უცებ თვალები გაუბრწყინდა —თანამშრომელი გოგონა დაინახა.

— ლამზირა, გოგო, ლამზირა!— დაბალი ხმით შეჰღაღადა დირექტორმა. — საით იმზირები, შე ბრუციანო, აქეთ გამოიხედე, აქეთ, მე ვარ, შენი ვარლამ ბიძია...

ლამზირამ დაინახა ვარლამი, ერთი შეხტა ადგილზე, ლოყაზე ხელი იტაცა და ჰკრა კამარა. აბა როგორ მიეკარებოდა ვარლამს, დღეს სამსახურში სულაც არ გამოცხადებულა.

Ზ. ᲮᲐᲠᲐᲘᲫᲔ

ორსაუბარი სხვასასხვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფოსტო ყუთში, გარდა ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოებებისა, იუმორისტული ლექსებიც თავისუფლად ეტევა.

ლექსებით აჭრელებული ფურცლების მიღმა პასუხის მოლოდინით გადალეული ავტორები დგანან, ისინი მოუთმენლად ელიან, როდის მოეფინება ქვეყანას მათი ახალი ლექსი, რომლის თვითეულ სტრიქონს ღამეთა ტეხისა თუ თავისტეხის დაღი აზის.

ზოგი ავტორი ბავშვობიდან ისე შესჩვევია საკუთარი თითების წოვას, რომ კიდურებიდან ახლა ლექსები გამოჰყავს. ამას წინათ „ნიანგის“ რედაქციამ ასეთი ნაწარმოები მიიღო:

„ხომ გაგიგიათ
ყროყინი ვირის,
ზოგი აჭარბებს,
უფრო მეტს ყვირის.
ვირის ყროყინი
იძლევა ნიშანს,
კაცის ყვირილი
არაფერს ნიშნავს...“

„კაცის ყვირილი არაფერს ნიშნავს“ უდაბნოსა შინა, მაგრამ აბა ავტორმა თავი წარმოიდგინოს თბილისელ სეირისმოყვარულთა ზღვაში, როგორი გნიასი ატყდება ამ ლექსის ხმამაღლა წაკითხვისას, მაშინ ვეღარ გაიმეორებს ჩვენი ავტორი თითქოს და „ვირის ყვირილი იძლევა ნიშანს, კაცის ყვირილი არაფერს ნიშნავს“.

ბევრი წიგნი დაწერილა ამ თვინიერ პირუტყვზე, რომელიც ათასეული წლების მანძილზე თავდადებით ემსახურება ადამიანთა მოდგმას, შეიძლება ბევრი ნაკლი ჰქონდეს ამ პატიოსან ცხოველს, მაგრამ ერთ დიდ ღირსებას მაინც ვერ წავართმევთ, — იუმორისტულ ლექსებს არ თხზავს და არც რედაქციებში აგზავნის მსგავს სტრიქონებს:

„მყვირალა კაცებს
ასე ჰგონიათ:
გადაჭარბებით
ტვინში გონი აქვთ!
დაჰკარით ერთი
თავის ქალაში,
როგორ გაივლის
თავის ქალაქში?..“

რა უნდა „დავკრათ თავის ქალაში“ მყვირალა კაცს, პატივცემულო ა. ა., თქვენი ლექსების რვეული? არა, არ გამოდგება. გვეშინია კრებულიდან მარგალიტები არ გადმოიფანტოს. მერე ისევ ჩვენ შემოგვედავებით, „ნიანგმა“ ძვირფასი განძისაგან გამცალაო.

წერა ვისაც არ ეზარება, ყველა გვიგზავნის თავის ლექსებს. რიტმის, რითმის, მეტრისა და პოეტიკის ყოველგვარი კანონის დარღვევით იქმნება „შედევრები“, რომლებიც იზვინება, ინომრება და ინახება მარადიული წყვდიადით მოცულ უჯრებში.

პატივცემულ ზ. ბ-ს კორესპონდენციის ლექსად დაწერა განუზრახავს და მიზნისთვისაც მიუღწევია:

„ლანჩხუთის რაიონში
არის ერთი სოფელი,
ლამაზი და კოხტა,
ხომ კი მიხვდი რომელი.
ამ სოფელში ბიძია
ბევრი რამე კარგი არის,
მაგრამ ზოგჯერ ჩემო კარგო
ეკალიცა არის ნარიც...“

ღმერთი, რჯული! ავტორისეულ ტექსტში ერთი სიტყვაც არ შეგვისწორებია, არც წერტილ-მძიმე ჩაგვიმატებია.

მაგრამ არიან ისეთი ავტორები, რომლებიც აშკარად გვთხოვენ მათ ხელნაწერებში ჩაჯრევას:

„გაასწორეთ ჩემი ლექსი,
დამიბეჭდეთ შემდეგ,
კარგი არის თავის დროზე
მაცნობებდეთ შედეგს“.

ამხ. ჩ. ნ-ს ლექსითვე ვპასუხობთ:

არც კაცობა შეგვაგინო,
არც ნამუსის ულვაში,
თქვენი ლექსი დავამწყვდიეთ
რედაქციის უჯრაში.

ვკითხულობთ სხვადასხვა ჟანრის დაუბეჭდავ თხზულებებს და ვწერთ პასუხებს სხაპასხუპით. ასეთია ხვედრი რედაქციის მუშაკთა. პასუხი დროზე უნდა ვაცნობოთ, თორემ საკუთარი სინდისის წინაშე შევრცხვებით. ჩვენს რედაქციაში საჭირბოროტო საკითხებზე დაწერილ კორესპონდენციებთან ერთად ისეთი მასალებიც შემოდის, რომლებზე პასუხგაუცემლობა დიდ ცოდვად არ ჩაგვეთვლება, მაგრამ წესი წესია. მაგალითად, აბა რა მოხდებოდა, უპასუხოდ დაგვეტოვებინა ასეთი წინადადება:

„ჟურნალ „ნიანგის“ სახელზე
წინადადება შემომაქვს,
ჩემი სახელი ეწეროს
თბილისის ყველა შენობას“.

ვინ არის ამის დამწერი? რამ აიძულა ასეთი „რაციონალიზატორული წინადადებით“ მოემართა ჩვენთვის? როგორც გამოირკვა, ამ სტრიქონების ავტორს არავითარი პროფესია არ გააჩნია, დაუმთავრებია საშუალო სკოლა და შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსიდან გამოუგდიათ. როგორც ვხედავთ, არც ისეთი მდიდარი ბიოგრაფია აქვს ლ. ბ-ს, რომ მისი სახელი თბილისის ყველა შენობაზე იყოს მსხვილი ასოებით წაწერილი. ეს საქმე მას უჩვენოდაც შეუძლია გააკეთოს ცარცით ან ნახშირით, მილიციამ თუ არ დაიჭირა.

თბილისსა და სხვა ქალაქებშიც ბლომად არიან ასეთი საქმის მოყვარული ადამიანები, რომელთა გვარი და სახელი დანით თუ საჭრისით, საღებავით თუ სხვა ათასგვარი საშუალებით არის აღნიშნული ისტორიული ძეგლების კედლებზე, სახელქვეშ თარიღსაც მიაწერენ ხოლმე საკუთარი პერსონით აღტაცებული პირები, რომლებსაც პიროვნება არავითარ შემთხვევაში არ ეწოდებათ, ისინი არიან ცხვირშერცხვენილი ცხვიროვნებები.

საოცარი ამბავი ხდება ზოგიერთი ადამიანის გონებაში. ბევრს თავისი „ნაშრომი“ წარმოუდგენლად დიდმნიშვნელოვანი ჰგონია, მაშინ, როცა ზოგიერთის შთაგონება ფანტაზიის ნაცვლად პანტაზეა.

ლექსად დაწერილი კორესპონდენციების ავტორებს მინდა ვურჩიო: თუ არც გარითმვა გემარჯვებათ, თუ არც რიტმისა და მეტრის გაგეგებათ რა, მაშინ წერეთ ჩვეულებრივი პროზა, წერეთ ჩვეულებრივი წერილები, „ნიანგის“ რედაქცია მათ შეამოწმებს და ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდავს, რა თქმა უნდა, მათ ქვეშ თქვენს გვარსა და სახელსაც მოაწერს.

მაგრამ ნიანგი მაინც მადლობელია ზემოხსენებული ავტორებისა, რადგან მისთვის (ნიანგისათვის) წყლის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

ბასკანჩელი.



ნახ. ი. დოიაშვილისა

№819 25/11 1964

64.

უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/III-1964 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შეკვ. № 671. უე 04161. ტირაჟი 40.000

ИНДЕКС 76137

64-219

უკბილური იუმორი



უტექსტო ხუმრობა.



უტექსტო ხუმრობა.

— ეს კოსტუმი ცოლმა გამოუნახა ქმარს.

უტექსტო ხუმრობა.

— ეჭიმო, თქვენ ნამდვილად თანამედროვე მეთოდებით სინჯავთ ავადმყოფებს.



— შეხედე, კოვალსკი 1200 ზლოტს იღებს თვეში და მანქანა საიდან იყიდა?

— კი, მაგრამ, მაგ ხომ დიდი ხანია არ მუშაობს.

— აა... მაშინ სხვა საქმეა...

— ამას რომ უყურებ, ძაღლის რძით არის გაზრდილი!